



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი

26. 06. 2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მაგული კუნჭულია/

4. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებამ**. მისი განმარტებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (ქ. ლანჩხუთში ჟორდანის ქ. N126-ში მდებარე, ყოფილი სასტუმრო შენობის მეორე სართულის N104 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.104); N105 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.105); N106 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.106); N107 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.107); N108 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.108); N109 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.109); N113 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.113); N114 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.114); N115 ფართობი (ს/კ 27.06.51.005.01.115) ამოღებულ იქნეს როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან, ვინაიდან იგეგმება აღნიშნული ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N31 (26.06.2020)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის

უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიაშვილმა. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქეებმა: ლია კუპრაძემ (პ/ნ 26001028145) და ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილმა (პ/ნ 61001021917), რომლებმაც ითხოვეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ სუფსის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული N2 -14.08 კვ.მ. და N5 -18.5 კვ.მ. ფართების ((ს/კ 27.15.52.294) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება განმცხადებლებს გადაეცეთ 5 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია, კორონა ვირუსის (კოვიდ-19) პანდემიის პროტოკოლით დადგენილი წესების განსახორციელებლად, □□□□□ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N32 (26.06.2020)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა მაგული კუნჭულიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010206002.35.112.016319) უნდა შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 14. მერის წარმომადგენელი:

1. მერის წარმომადგენელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მერი .
2. მერის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში.
3. მერის წარმომადგენელზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს მერი.
4. მერის წარმომადგენელი: ა) მერს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ; ბ) მერის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას; გ)

უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას; დ) მერის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას; ე) მერს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ; ვ) „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, ამავე კანონით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის მიზნით; 2 ზ) „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ვადების დაცვით მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს აწვდის ინფორმაციას: ზ.ა) დაბადების რეგისტრაციის არსებობის ან სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე ბავშვის დაბადების თაობაზე; ზ.ბ) პირის გარდაცვალების თაობაზე. თ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრულ ცნობების გაცემაზე უფლებამოსილ პირს ხელს უწყობს ტექნიკური და მეთოდური დახმარების გაწევით შემდეგი ცნობებისა და ოქმების მოსამზადებლად: თ.ა) „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ; თ.ბ) საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ; თ.გ) პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დადასტურების (გარდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით) შესახებ; თ.დ) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 85-ე მუხლის შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ; ი) მერის წარმომადგენელი პასუხისმგებელია მის მიერ მოწვდილ ყველა სახის ინფორმაციის სისწორეზე; კ) მერის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

5. მერის წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 25 საკრებულოს წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N33 (26.06.2020)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ავტობანთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა, რომელიც გადის კლინიკა „ჯანმრთელობის“ კორპუსის წინ დასრულდა ისე, რომ არ გააკეთეს კლინიკასთან ავტომობილით შესასვლელი გზა, ასევე არ არის საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ავტომობილის მოსაბრუნებელი ადგილი. დეპუტატის თქმით, კლინიკა „ჯანმრთელობასთან“ ავტომობილით მისვლა შესაძლებელია მხოლოდ კორპუსის ეზოს გავლით, რაც არაერთხელ გამხდარა ამ კორპუსის მაცხოვრებლებთან დაპირისპირების მიზეზი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუდმივად ასუფთავებს მიმდებარე ტერიტორიას და ცდილობს ყველაფერი იყოს წესრიგში. მან უკმაყოფილება გამოთქვა ამ ფაქტის გამო.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილი** აღნიშნა, რომ ავტობანთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა ჯერ არ დასრულებულა და საგზაო დეპარტამენტის პრეროგატივაა, რომელშიც მუნიციპალიტეტი ვერ ჩაერევა, ხოლო რაც შეეხება მოსახლეობასთან დაპირისპირებას მას არასოდეს არ დაუტოვებია უყურადღებოდ ეს ფაქტი, მაგრამ დაპირისპირება უხდებოდა კორპუსის ბინადართა სრულ შემადგენლობასთან, რასაც დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** და რადგან უკანასკნელ დაპირისპირებაში ჩართულია სამართალდამცავი ორგანო, ამჯერად ისინი დაელოდებიან მათ გადაწყვეტილებას.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე აუცილებლად მოსაგვარებელია მიუსაფარი ძაღლების პრობლემა, რადგან ტემპერატურის მატებასთან ერთად აქტიურდება ცოფის ვირუსი და იზრდება ცოფით დაინფიცირების რისკი. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უნდა არსებობდეს თანხები ამ პრობლემის მოსაგვარებლად და უნდა იქნეს შემუშავებული პროგრამა, რომლის მიხედვითაც დაცული იქნება, როგორც მოსახლეობის ასევე ცხოველთა უფლებები. დეპუტატმა იქვე დასძინა, რომ სასურველი იქნება ამ მაწანწალა ძაღლებს ჩაუტარდეთ კასტრაცია, რაც არსებითად შეამცირებს მათ რიცხვს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილი** განმარტა, რომ ბიუჯეტში ამ კუთხით ჩადებული თანხები ნამდვილად მოხმარდა მიუსაფარი ძაღლების პრობლემის მოგვარებას, მაგრამ შედეგი ვერ დადგა, რადგან არ არსებობს თავშესაფარი, სადაც ქუჩიდან აყვანილ ცხოველებს მოათავსებენ და სამწუხაროდ დაბირკული ცხოველები კვლავ ქუჩაში ხვდებიან.

საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილი** გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ რომელიმე მუნიციპალურ საწარმოს ან კერძო ორგანიზაციას, გაუჩნდება იდეა გააკეთოს მიუსაფარი ძაღლების თავშესაფარი და წარმოადგენს პროექტს, მუნიციპალიტეტმა წახალისოს ისინი საკუთარ ბუჯეტში ამ კუთხით ჩადებული სახსრებით.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ მაწანწალა ძაღლების რაოდენობის შეცირების მიზნით, უნდა დაწესდეს სანქციები ქუჩაში გადაგდებული

მაღლის პატრონზე, რასაც დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვიციანი** გამოეხმაურა საკრებულოს წევრ **ამირან გიგინეიშვილის** მოსაზრებას და აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ არაერთხელ განიხილა მიუსაფარი ძაღლების პრობლემა და ჰქონდათ მსგავსი შემთავაზება, რომ თუ რომელიმე კერძო პირი დაწყებდა თავშესაფრის მოწყობას, მაშინ მუნიციპალიტეტს ხელშეწყობის მიზნით მისთვის სუბსიდირების სახით გამოეყო სახსრები, მაგრამ ამ შემთავაზებაზე უარი მიიღო. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად მოსაწესრიგებელია მუნიციპალური ტრანსპორტის პრობლემა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ აუცილებლად დაუჭერს მხარს ნებისმიერ პიროვნებას ან ორგანიზაციას ვინც მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრის მოწყობას გადაწყვეტს, ხოლო რაც შეეხება მუნიციპალურ ტრანსპორტს ეს საკითხიც აქტუალურად დგას მუნიციპალიტეტის დღის წესრიგში და მოწესრიგდება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის უფროსმა **დავით წულაძემ** მაღლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს სრულ შემადგენლობას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გაწეული თანადგომისთვის და ითხოვა ფინანსური დახმარება, რომ აღნიშნულმა სამსახურმა შეიძინოს გარე განათების მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ერთი ერთეული სპეციალური ავტომობილი მათი საქმიანობის სრულფასოვნად და დროულად შესასრულებლად. მისი თქმით, გარე განათების სამუშაოების მოცულობა წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და აღნიშნულ სამუშაოების ერთი მანქანის მეშვეობით განხორციელება ართულებს სამუშაო პროცესს. მან იქვე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები დილის 5 საათიდან იწყებენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას, სკვერებში განლაგებული სკამები მუდმივად დაზიანებული ხვდებათ.

საკრებულოს წევრებმა **იოსებ ჩხაიძემ** და **კახაბერ ასკურავამ** მოითხოვეს სანქციების დაწესება იმ პირებზე ვინც დაზიანებს სკვერებში განლაგებულ სკამებს და აგრეთვე დაანაგვიანებს გრიგოლეთის სანაპირო ზოლს.

საკრებულოს წევრებმა: **ელისო ჭიჭინაძემ**, **ციცინო ჩხაიძემ**, **გიორგი ჩახვაძემ** მაღლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის უფროსს და მის ყველა თანამშრომელს კეთილსინდისიერი და მუხლჩაუხრელი შრომისთვის და უსურვეს წარმატებები შემდგომ საქმიანობაში, რასაც დაეთანხმნენ საკრებულოს დანარჩენი წევრებიც და აღუთქვეს დახმარება პრობლემების მოსაგვარებლად.


საკრებულოს წევრმა, „საქართველოს სასოფლო დარბაზის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **ამირან გიგინეიშვილმა** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრებს "საკრებულოს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ელექტრონული კომუნიკატორის" შესახებ პროექტი წარუდგინა. მან განმარტა, რომ „საკრებულოს ელექტრონული მენეჯერი“ არის ვებ-პლატფორმა, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა და მისი საშუალებით მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება შეიტყოს საკრებულოში დაგეგმილი ყველა ღონისძიების შესახებ, უშუალოდ დაუკავშირდეს ნებისმიერ საკრებულოს წევრს, აპარატის წარმომადგენლებს, მიწეროს წერილი ან განახორციელოს სატელეფონი კომუნიკაცია მათთან, ამასთანავე ეს სისტემა გამჭვირვალეა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საჯაროა რამდენ წერილს უპასუხა ადრესატმა და აქვს თუა არა ასევე უპასუხო შეტყობინებები. ამირან გიგინეიშვილმა იქვე განმარტა, რომ ეს პროექტი „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში ხორციელდება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

26 ივნისი 2020 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10:58	
2	ვლადიმერ ნანაძე	10:57	
3	ვერიკო კვიციანი	11:01	
4	ალექსანდრე მახათაძე		
5	გიორგი ჩახვაძე	10:55	
6	გიორგი გვარჯალაძე	10:58	
7	ემზარ თევდორაძე		
8	ბესიკ კუპრაძე	10:57	
9	გოგი მორჩილაძე	10:55	
10	სპარტაკ კვაჭაძე	10:56	
11	ლელა ჩახვაძე		
12	ზაზა წულაძე	10:54	
13	კახა ბოლქვაძე	10:58	
14	ციციწო ჩხაიძე	10:59	
15	კარლო კვიციანი	10:55	
16	ზურაბ კუკულავა		
17	იოსებ ჩხაიძე	10:55	
18	ოთარ პატიშვილი	10:59	
19	ელისო ჭიჭინაძე	10:50	
20	ამირან ქანთარია	10:45	
21	დავით ჩხარტიშვილი		
22	აკაკი იმნაიშვილი		
23	ზაალ სანაძე	10:55	

24	რევაზ კვერენჩილაძე	1058	h. [Signature]
25	კახაბერ ასკურავა	[Signature]	11:00
26	ამირან გიგინეიშვილი	1041	[Signature]
27	ირაკლი მარშანიშვილი		
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურძე	[Signature]	10:55
30	კახა თედორაძე		
31	რეზო კვაჭაძე	10:55	h. [Signature]
32	ვენე კვიციანი	1055	[Signature]